ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 199

ქალაქი ქუთაისი 31 ივლისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაფუძნების ცნობად მიღების
შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2017 წლის 20 ნოემბრის N15 განკარგულებაში ცვლილების შეტანის
თ ა ო ბ ა ზ ე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30–ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის 35-ე მუხლის მე-8 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გიორგი უკლებასათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივნისის N181 განკარგულების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის 2019 წლის 11 ივლისის N441-02 წერილობითი მომართვის გათვალისწინებითა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული საკითხთა კომისიის დასკვნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის დასკვნა განკარგულების დედანს თან ერთვის)

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, გიორგი უკლებას, ვადამდე 2019 წლის 27 ივნისიდან, შეუწყდა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის უფლებამოსილება.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N15 განკარგულებაში. კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ შედგება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

ა. შუშანია გრიგოლ

ბ. კლდიაშვილი ვლადიმერ

გ. ბრეგაძე ბესიკ.“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია